



## დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი

№ 9942  
01.08.15

საქართველოს პარლამენტის

საორგანიზაციო დეპარტამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 52-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიერ 2014 წლის საშემოდგომო და 2015 წლის საგაზაფხულო სესიების პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

ზურაბ ტყემალაძე

კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის  
კომიტეტის მიერ 2014 წლის საშემოდგომო სესიისა და 2015 წლის  
საგაზაფხულო სესიების პერიოდში გაწეული საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

## შინაარსი

1.	კომიტეტის საქმიანობის პრიორიტეტები, მიმართულებები და ზოგადი სტატისტიკა	3
1.1.	კომიტეტის პრიორიტეტული მიმართულებები	4
1.2.	კომიტეტის მიერ განხილული დოკუმენტების ზოგადი სტატისტიკა	5
2.	კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობა	6
2.1.	კომიტეტის წევრებისა და კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივები	6
2.2.	კომიტეტის მიერ განხილული და დამუშავებული მნიშვნელოვანი კანონპროექტები	8
2.3.	სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის განხილვა	8
2.4.	კონკურენციის შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განხილვა	9
2.5.	საკანონმდებლო წინადადებები და პეტიციები.	9
3.	საპარლამენტო კონტროლი	11
4.	კომიტეტის ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან	16

## 1. კომიტეტის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები და ზოგადი სტატისტიკა.

2014 წლის საშემოდგომო სესიის და 2015 წლის საგაზაფხულო სესიის პერიოდში კომიტეტი აქტიურად ახორციელებდა საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით მინიჭებულ ფუნქციებს. თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფდა საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, დარგობრივი მიმართულებებით სხვადასხვა უწყებებში განსახილველი საკითხების სრულყოფისათვის აქტიურ ჩართულობას, პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულების ხელის შეწყობას, მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებისას წარმოშობილი პრობლემების შესწავლა-ანალიზსა და მათი აღმოფხვრისათვის საჭირო აქტივობების დაგეგმვას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების და საქართველოს მთავრობის კონტროლს.

კომიტეტი ინტენსიურად იყო ჩართული საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობაში, კომიტეტში მომზადებულ იქნა არაერთი კანონპროექტი, რომელიც მიმართული იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობისაკენ. კომიტეტის საქმიანობა შეეხო ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებს როგორებიცაა კომუნიკაციები, მშენებლობა, ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, კონკურენცია, საინვესტიციო საქმიანობა, ბიზნეს გარემო, სახელმწიფო შესყიდვები, სახელმწიფო ქონების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვა და სხვა.

საგულისხმოა ასევე კომიტეტის როლი პარლამენტის მიერ განსახილველი კანონპროექტების წინასწარ მომზადებასა და დამუშავებაში. კომიტეტის მიერ განხილულ იქნა 143 კანონის პროექტი, სადაც 22 კანონპროექტზე იყო წამყვანი, ხოლო 121 კანონპროექტზე მომზადებულ იქნა სავალდებულო დასკვა.

კომიტეტის მიერ განხორციელდა საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენილი 31 საერთაშორისო ხელშეკრულების შესწავლა საქართველოს კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობისა და შესაძლო სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით.

კომიტეტმა განიხილა სხვადასხვა უწყებების 5 წლიური ანგარიში.

საანგარიშო პერიოდში შედგა აქტიური თანამშრომლობა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, რომლებიც ინტენსიურად მომართავდნენ კომიტეტს წერილობით, მათ შორის კონკრეტული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის მოთხოვნით. გაიმართა შეხვედრები, მოხდა მათი მოთხოვნების ანალიზი და მთავრობის წარმომადგენლების ჩართვა ამ პროცესში. მნიშვნელოვანია ასევე მოქალაქეთა ჩართულობა კომიტეტის საქმიანობის პროცესში. კომიტეტში განხილულ იქნა 399 სხვადასხვა უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან მიღებული წერილი და მოქალაქის განცხადება, რომლებზეც კომიტეტმა უზრუნველყო დროული, კვალიფიციური და ეფექტური ფორმით რეაგირება.

კომიტეტი ასევე ინტენსიურად თანამშრომლობდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეთა, ბიზნეს სექტორის და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობა მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს კომიტეტს ნაყოფიერად განხორციელებინა მისთვის დაკისრებული ფუნქციები და ეფექტური გაეხადა მის ხელთ არსებული რესურსების გამოყენება საკანონმდებლო ბაზის დახვეწა-სრულყოფისათვის. კომიტეტი გეგმავს მათი ჩართულობის გაძლიერებას და გაღმავებას.

ზემოხსენებულს მოწმობს ის ფაქტიც, რომ კომიტეტმა განიხლია 10 საკანონმდებლო წინადადება და 2 პეტიცია.

მთელ რიგ აქტუალურ და საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე საკითხებზე ჩატარდა საკომიტეტო მოსმენები. განხილულ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

### 1.1. კომიტეტის პრიორიტეტული მიმართულებები

კომიტეტის კანონშემოქმედებითი და საზედამხედველო ფუნქციების გათვალისწინებით, გამოიკვეთა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- სტაბილური ეკონომიკური პოლიტიკის უზრუნველყოფა;
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების წარმატებული იმპლემენტაცია და განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტით გათვალისწინებული შესაძლებლობების გამოყენება;
- კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფა;
- სახელმწიფო ქონების შესახებ კანონმდებლობის სრულყოფა, მათ შორის ქვეყნის საპრივატიზებო პოლიტიკის;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების მარეგულირებელი კანონმდებლობა;
- საივესტიციო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოწესრიგება;
- მაუწყებლობის სფეროს სტაბილური განვითარება და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის წარმატებული განხორციელება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის მასტიმულირებელი რეგულაციის შემუშავება;
- გაჩერებული მშენებლობების პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება და საკანონმდებლო რეგულირება;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი რეგულირება, მათ შორის გენმოდიფიცირებული პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფა;
- რეკლამის განთავსებისა და წარმოების წესების დახვეწა;
- ენერგეტიკისა და წყალმომარაგების დარგის სტაბილური განვითარება;
- კომიტეტის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და სხვა.

1.2 კომიტეტის მიერ განხილული დოკუმენტების ზოგადი სტატისტიკა.

	სულ	კომიტეტი იყო წამყვანი	კომიტეტის დასკვნა იყო სავალდებულო
კანონის პროექტი	143	22	121
კომიტეტში მომზადებული კანონპროექტები	5	-	-
საერთაშორისო ხელშეკრულება	31	9	22
საკანონმდებლო წინადადება	10	4	5
პეტიცია	2	2	-
სხვადასხვა უწყებების ანგარიშები	5	4	1
პოლიტიკის მიმართულებების დოკუმენტი	1	1	-

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ ჩატარებულ იქნა 54 კომიტეტის სხდომა.

## 2. კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობა

### 2.1. კომიტეტის წევრებისა და კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივები

კომიტეტის წევრებისა და კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივებიდან თავისი მნიშვნელობისა და აქტუალობის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს შემდეგი კანონპროექტები:

- **„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტის წევრის ზურაბ ტყემალაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის მიზანს წარმოადგენდა სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდისაგან გადამხდელის გათავისუფლების გზით შერჩეული მშენებლობების დასრულების ხელშეწყობა და მშენებლობისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

კანონპროექტის თანახმად, მშენებარე ობიექტებზე, რომლებზეც მშენებლობის ნებართვა გაცემული იყო 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით და ამ მუხლის ამოქმედების დროისათვის გაცემული იყო კ2 კოეფიციენტის გადამეტების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, მოსაკრებლის გადამხდელები სრულად გათავისუფლდნენ კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდისაგან იმ პირობით, თუ ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოიცემოდა 2018 წლის 1 იანვრამდე.

წარმოდგენილ კანონპროექტთან დაკავშირებით გაიმართა არაერთი შეხვედრა ქალაქ თბილისის ვიცე-მერთან ბ-ნ დიმიტრი ქუმსიშვილთან, აგრეთვე მერიის არქიტექტურულ და ფინანსურ სამსახურთან. კომიტეტის მხრიდან მოთხოვნილი იყო არაერთი ინფორმაცია ფინანსური თუ ტექნიკური სახის, რათა შექმნილიყო სრული სურათი შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების ჩამოსაყალიბებლად.

აღნიშნული საკითხი განიხილა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე. პროექტთან დაკავშირებით, კომიტეტს მოსაზრებები და შენიშვნები მიაწოდა საქართველოს მთავრობამ, რაც გაზიარებულ იქნა ინიციატორის მიერ.

კომიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალ კანონპროექტი მიღებულიყო საქართველოს პარლამენტის პლენარულს სხდომაზე.

- **„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**  
საქართველოს პარლამენტის წევრის ზურაბ ტყემალაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტით „სახელმწიფო



ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით მოხდა კანონის რეგულირების სფეროსა და საკანონმდებლო ტერმინების დაზუსტება. „სახელმწიფო ქონების“ შესახებ საქართველოს კანონს დაემატა პრივატიზების ფორმა: უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა. სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა შესაძლებელი ხდება მხოლოდ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ცვლილების თანახმად, გაიზარდა მესამე პირების წრე და შეიცვალა მათ მიერ სახელმწიფო ქონების პრივატიზების ინიცირების პირობები და ანაზღაურების წესი. ასევე, გაიზარდა საინვესტიციო ვალდებულების შესასრულებლად განსაზღვრული უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის ვადა და 2 თვე შეიცვლება 4 თვით.

გამარტივდა სახელმწიფო დაწესებულების ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების დაზიანების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საკითხი.

გასწორდა კანონში არსებული ხარვეზი, დაზუსტდა წილებისა და აქციების პრივატიზების საკითხები, სახელმწიფო ქონებით არამართლზომიერად სარგებლობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხის დაანგარიშების წესი. ასევე, არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების განკარგვის სამართლებრივი რეგულაციები.

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილების თანახმად, იძულებით გადაადგილებული პირები გათავისუფლდნენ სახელმწიფოსთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2014 წლის 1 ივლისამდე წარმოშობილი ფულადი ვალდებულებებისაგან და ასევე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან.

კანონპროექტის თანახმად, ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც არამართლზომიერად სარგებლობდნენ სახელმწიფო ქონებით სამეწარმეო საქმიანობისათვის, გათავისუფლდნენ 2012 წლის 17 სექტემბრამდე ან 2012 წლის 17 სექტემბრის შემდეგ სახელმწიფო საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტამდე, სარგებლობის პერიოდისათვის გადასახდელი, სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან.

- „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“



საქართველოს პარლამენტის წევრის ზურაბ ტყემალაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტით „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მოხდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრიობის შეცვლისათვის დადგენილი გარდამავალი რეგულირების მოქმედების ვადის გადაწევა 2015 წლის 1 ივლისამდე.

## **2.2. კომიტეტის მიერ განხილული და დამუშავებული მნიშვნელოვანი კანონპროექტები**

საკანონმდებლო საქმიანობის კუთხით კომიტეტის მიერ განხილული და დამუშავებული კანონპროექტების საერთო რაოდენობიდან აღსანიშნავია შემდეგ კანონპროექტები:

**საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონის პროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.**

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა შეისწავლა კანონპროექტი და მიიჩნია რომ წარმოდგენილი პროექტით არ არის სათანადოდ დარეგულირებული გარკვეული საკითხები. კერძოდ, არ არის სრულყოფილად მოწესრიგებული ის სუბიექტები თუ ვის შეუძლია ჰქონდეს საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, არ არის გათვალისწინებული მიწის მიზნობრივად გამოყენების ვალდებულება და შესაბამისი ნორმები. ასევე პროექტი არ ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს კონტროლსა და შესაბამისი სანქციებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომიტეტმა შეიმუშავა ალტერნატიული კანონის პროექტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომიტეტმა არაერთხელ მოაწყო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ სამინისტროს წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საკრებულოს წევრები, მეცნიერებათა აკადემია და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის წევრები.

დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს პოზიციების შეჯერება დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტსა და პარლამენტში უკვე წარმოდგენილი პროექტის ავტორებს შორის.

**საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოდგენდა 2008 წლის 8 აგვისტოს ომისა და ფინანსური კრიზისის შედეგად შეჩერებული მშენებლობების დასრულების ხელშეწყობა.

წარმოდგენილი კანონპროექტის განხილვამდე კომიტეტში გაიმართა არაერთი შეხვედრა დეველოპერებთან და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებთან და ერთობლივი კონსულტაციების შედეგად საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტის შეჯერებულ ვარიანტს.

### **საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ პროექტი“**

წარმოდგენილი პროექტის მიღების მიზნები ენერგეტიკის სფეროში არსებული გამოწვევებისათვის ფეხის აბმა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება გახლდათ.

პროექტის თანახმად ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა:

- მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია და ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ოპტიმალური ათვისება;
- საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისება;
- საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან;
- ენერგეტიკული ბაზრისა და ვაჭრობის მექანიზმის გაუმჯობესება;
- საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლის გაძლიერება რეგიონში;
- საქართველო - სუფთა ენერჯის წარმოებისა და ვაჭრობის რეგიონალური ცენტრი;
- საქართველოში ენერგოეფექტურობის ერთიანი მიდგომის შემუშავება და განხორციელება;
- გარემოს დაცვითი კომპონენტების გათვალისწინება ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას;
- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

წარმოდგენილი პროექტი ხელს უწყობდა საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულებას.

წარმოდგენილ დოკუმენტს თან ახლდა პარლამენტის დადგენილების პროექტი, რომლითაც მტკიცდებოდა „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“.

აღნიშნული დოკუმენტით ხდებოდა 2006 წლის 9 ივნისის N 3259 - II დადგენილებით საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ ძალადაკარგულად ცნობა.

წარმოდგენილი პროექტის განხილვადე გაიმართა შეხვედრა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილესთან ბ-ნ ირაკლი ხმალამესთან და მოხდა კომიტეტში არსებული კითხვების დაზუსტება და განმარტვა. სამინისტროს მხრიდან მოხდა კომიტეტის შენიშვნების

გათვალისწინება. კონსულტაციებისა და შეხვედრების მოუხედავად, მაინც დარჩა რამდენიმე პრინციპული ხასიათის შენიშვნა, რომელიც დაფიქსირდა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე. კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით მხარი დაეჭირა წარმოდგენილი პროექტის საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვას. პლენარულ სხდომამდე სამინისტროს მხრიდან მოხდა კომიტეტის მიერ დაფიქსირებული შენიშვნების გათვალისწინება და პროექტი სრულფასოვანი სახით წარდგა საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

### **2.3. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის განხილვა**

კომიტეტის მიერ 2014 წლის საგაზაფხულო სესიის პერიოდში განხილულ იქნა კანონის პროექტი „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2015-2018 წლებისათვის“.

შესწავლილ იქნა კომიტეტის საკურატორო სფეროში შემავალი სამივე სამინისტროს, კერძოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, საქართველოს ენერჯეტიკის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების და მათ კონტროლის ქვეშ მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის გათვალისწინებული პროგრამებისა და მათი დაფინანსების მიზნობრიობა.

კომიტეტმა მის საკურატორო სფეროში შემავალი 27 უწყებიდან მიღებული და საკომიტეტო განხილვისას მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე მოამზადა რეკომენდაციები და შენიშვნები, რაც რეგლამენტით დადგენილი წესით წარედგინა საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ბიუჯეტის პროექტის საკომიტეტო განხილვაში.

2015 წლის საგაზაფხულო სესიის პერიოდში განხილულ იქნა აგრეთვე კანონის პროექტი „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

### **2.4 კონკურენციის შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განხილვა**

კომიტეტმა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად განიხილა და შეითანხმა სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის შემდეგი ბრძანებების პროექტები:

- „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესისა და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებადობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ ;
- „საქმის მოკლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ ;
- „თანაშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- „კონცენტრაციების შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ ;
- „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“.

აღნიშნული პროექტების განხილვის მიზნით კომიტეტმა, საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ-ის მხარდაჭერით 2014 წლის 25-26 სექტემბერს ჩაატარა სხდომა ყაზბეგის რაიონში, დაბა სტეფანწმინდაში. ორდღიან სხომას ესწრებოდნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ როგორც აღმასრულებელი ხელისულების, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. განხილვისას გამოითქვა არაერთი შენიშვნა და რეკომენდაცია რაც ასახულ იქნა კანონპროექტებში.

## **2.5. საკანონმდებლო წინადადებები და პეტიციები.**

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ განხილულ იქნა 10 საკანონმდებლო წინადადება და 2 პეტიცია.

ამათგან, უნდა აღინიშნოს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საკანონმდებლო წინადადება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც კომიტეტის სხდომაზე განხილვის შემდგომ კანონპროექტის სახით ინიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიერ.

საკანონმდებლო წინადადებით წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოში სამაუწყებლო ბაზრის მოწესრიგებას, მაუწყებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის აუდიო-ვიზუალური მომსახურების (AVMS) დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანას. კონკრეტულად, წინადადება ეხებოდა რეკლამის სხვადასხვა სახეობის რეგულაციებს. ასევე, სარეკლამო და სასპონსორო მომსახურების გამიჯვნას. შემოთავაზებულ იქნა რეკლამის ისეთი ახალი სახეობების შემოღება და დარეგულირება როგორცაა ტელეშოპინგი, პროდუქტის/მომსახურების პროგრამაში განთავსება. ასევე, სარეკლამო დროის ხანგრძლივობის განსაზღვრა, რომელიც ხელს შეუწყობდა ქვეყანაში სამაუწყებლო ბაზრის ყველა მონაწილისათვის თანაბარი პირობების შექმნას. საგულისხმოა ის გარემოება, რომ აღნიშნული რეგულაციის დაწესებას ითვალისწინებს საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

კომიტეტმა მოიწონა წარმოდგენილი წინადადება და მოახდინა მისი გადამუშავება და ინიცირება. აღნიშნული ინიციატივის მომზადებისა და განხილვის პროცესში ჩართული იყო ყველა საეთერო მაუწყებელი, სარეკლამო ასოციაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ყველა დაინტერესებული პირი. მათთან გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა. კომიტეტმა უზრუნველყო მათი საკომიტეტო განხილვაში ჩართვაც, რითაც უზრუნველყოფილ იქნა ყველა დაინტერესებული პირის პოზიციების შეჯერება.



### **3. საპარლამენტო კონტროლი**

საანგარიშო პერიოდში კომიტეტი, საქართველოს კონსტიტუციისა და რეგლამენტით დადგენილ ფარგლებში, აქტიურად ახორციელებდა საპარლამენტო კონტროლს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კომიტეტის მიერ განხორციელებული შემდეგი აქტივობები:

#### **მთავრობის წევრთა მოსმენა ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ**

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან ერთად, 2015 წლის 12 მარტს, მოისმინა და ცნობად მიიღო საქართველოს მთავრობის წევრთა: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრების, აგრეთვე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

საკომიტეტო მოსმენას ესწრებოდნენ როგორც საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების და ეროვნული ბანკის წარმომადგენლები, ასევე საქართველოს პარლამენტის უმრავლესობისა და უმცირესობის წევრები. სხდომა მიმდინარეობდა 7 საათის განმავლობაში. გამოითქვა მოსაზრებები და დაფიქსირდა პოზიციები მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობასთან და მომხსენებლების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის მიერ გაწეული საქმიანობა და დაგეგმილი ქმედებები კომიტეტის მიერ შეფასებულ იქნა დადებითად და გამოითქვა სურველი დადგენილი კურსის გაგრძელების შესახებ. ამასთან, საკომიტეტო მოსმენის შედეგად შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკისათვის.

ასევე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ყოველკვარტალურად საკომიტეტო მოსმენის ჩატარების შესახებ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობისა და საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

#### **საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშის განხილვა**

2015 წლის 24 მაისს კომიტეტმა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან ერთად გაერთიანებულ სხდომაზე განიხილა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი "საქართველოს ეროვნული ბანკის 2014 წლის წლიური ანგარიში".

წარმოდგენილი ანგარიში კომიტეტის მხრიდან უარყოფითად იქნა შეფასებული და კომიტეტის დასკვნა შესაბამისი მოსაზრებებით, რეგლამენტით დადგენილი წესით, წარედგინა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

#### **სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა**

2015 წლის 10 ივნისს კომიტეტმა განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური

ანგარიში” და საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია „ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ“. შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა კომიტეტის საკურატორო სფეროში შემავალი ყელა უწყების მიერ ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსების ათვისება და პროგრამებით გათვალისწინებული ღირსძიებების განხორციელება.

**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობის შესახებ 2014 წლის წლიური ანგარიშის შესახებ.**

წარმოდგენილ ანგარიშში ყურადღება გამახვილებული იყო 3 ძირითად ასპექტზე:

- 2014 წელს ელექტროენერგეტიკულ სექტორში განხორციელებულ ძირითად მოვლენებსა და ტენდენციებზე;
- 2014 წელს ბუნებრივი გაზის სექტორში განხორციელებულ ძირითად მოვლენებსა და ტენდენციებზე;
- 2014 წელს წყალმომარაგების სექტორში განხორციელებულ ძირითად მოვლენებსა და ტენდენციებზე

გამახვილებული იყო ყურადღება ელექტროენერგეტიკულ სექტორში განხორციელებულ ძირითად საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლის თანახმადაც კომისიამ შეიმუშავა ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესი.

აგრეთვე, გაკეთებული იყო აქცენტების ბუნებრივი აირის სექტორში გატარებული ღირსძიებებზე და შემუშავებულ „ბუნებრივი გაზის ბაზრის წესები“-ზე, საუბარ იყო ასევე დანაკარგებზე.

საკმაოდ მცირე ინფორმაცია იყო მოწოდებული წყალმომარაგების სექტორთან მიმართებაში.

ანგარიშის გაცნობის შემდეგ კომიტეტს გაუჩნდა საკმაოდ ბევრი კითხვა სამივე სექტორის მიმართ, შესაბამისად ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორც სემკის წარმომადგენლებთან, ასევე დარგის სხვა სპეციალისტებთანაც. მოხდა საკითხის დეტალური შესწავლა და გაანალიზება.

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომა საკმაოდ მწვავედ და საინტერესოდ წარიმართა. დაისვა და გაუღერდა ყველა ის საკვანძო საკითხი, რომელიც აინტერესებდა მოსახლეობას. კომიტეტმა დააფიქსირა არაერთი შენიშვნა და მიიღო გადაწყვეტილება ცნობად მიელო წარმოდგენილი ანგარიში და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვა.

**სსიპ - ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მოხსენება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს საქმიანობისა და მათი სამომავლო გეგმების შესახებ.**

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა მოისმინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

სსიპ - ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მოხსენება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს საქმიანობისა და მათი სამომავლო გეგმების შესახებ.



საკომიტეტო მოსმენას ესწრებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურების, საფინანსო, საგანმანათლებლო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები, ყველა სამხარეო გუბერნატორი და თვითმმართველი ქალაქის მერები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სტუდენტები.

საკომიტეტო მოსმენა ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა. დამსწრე საზოგადოების ყველა წარმომადგენლებმა გამოთქვა მზადყოფნა და მონაწილეობის მიღების სურვილი სააგენტოს პროგრამებისა და საქმიანობის შემდგომ მამულებში. კომიტეტმა თავის მხრივ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას სააგენტოს დაფინანსების გაზრდისათვის.

### **საქართველოს ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის საკითხი.**

კომიტეტმა საერთაშორისო ვალდებულებების უზრუნველყოფისა და საკანონმდებლო მოთხოვნების აღსრულების მიზნით, მონიტორინგი გაუწია საქართველოს ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის მთელ პროცესს. კომიტეტის მხრიდან შესწავლილ იქნა ციფრული მიწისზედა ქსელის დათქმულ ვადებში აგებისა და შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების დროულად მიღების საკითხები. ასევე, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის შესაბამისი აღჭურვილობით მომარაგებისა და ტელევიზიების მიერ ციფრულ მაუწყებლობაზე უმტკივნეულოდ და შეუფერხებლად გადასვლის საკითხები. კომიტეტმა აღნიშნულთან დაკავშირებით გამართა საკომიტეტო მოსმენა, მოაწყო არაერთი შეხვედა სხვადასხვა დაინტერესებულ და პროცესში მონაწილე მხარეებთან, რომლებსაც მიაწოდა შესაბამისი რეკომენდაციები.

### **„ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტის კანონთან შესაბამისობის საკითხი.**

კომიტეტმა შეისწავლა „ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული საქართველოს მთავრობისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი დაცვის მინისტრის მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც კანონთან შეუსაბამოდ მიიჩნია. აღნიშნულის თაობაზე კი მიმართა საქართველოს მთავრობას, შესაბამის დადგენილებაში ცვლილებების შეტანისათვის, ხოლო მინისტრის ბრძანების გაუქმებასთან დაკავშირებით.

კომიტეტმა, ასევე შეისწავლა ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმებთან დაკავშირებული რეგულაციები. აღნიშნულთან დაკავშირებით ერთობლივი სხომა ჩატარდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომიტეტებთან ერთად, სადაც მიღებული იქნა სამუშაო გეგმის შექმნის გადაწყვეტილება. სამუშაო გეგმა არაერთი შეხვედრა მოაწყო ექსპერტებთან, მეცნიერებთან, არასამთავრობო ორგანიზაციასთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების, სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროებთან ერთად. შეხვედრებისა და კონსულტაციების შემდგომ ზემოაღნიშნული მხარეების მხრიდან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების საბაზრო ქსელში განთავსების აკრძალვაზე და

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მისი მხოლოდ გადამუშავებული სახით ზაზარზე განთავსებისა. აღნიშნულთან დაკავშირებით მომზადდა პროექტი, რომელიც გასაცნობად გაეგზავნა შესაბამის უწყებებს.

### **ტექნიკური საფრთხის კონტროლი**

კომიტეტმა არაერთი განცხადების მომართვის საფუძველზე სიღრმისეულად შეისწავლა და გამოავლინა მომეტებული ტექნიკური საფრთხის ობიექტების, შეზღუდულად ბრუნვადი მასალების, საშიში ტვირთების გადაზიდვის, მშენებლობის, ნავთობისა და გაზის მეურნეობაში, სახანძრო უსაფრთხოებასა და ფეთქებად მასალებზე სახელმწიფო ზედამხედველობის კუთხით არსებული ნაკლოვანებები ასევე, შეისწავლა მეტროპოლიტენში დღეის მდგომარეობით არსებული ვითარება. აღნიშნულთან დაკავშირებით კომიტეტმა გამართა არაერთი შეხვედრა ექსპერტებთან, მეცნიერებთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროებთან და მათ საქვეუწყებო დაწესებულებებთან. ამ ეტაპზე კომიტეტი გეგმავს მუშაობის გაგრძელებას შესაბამის უწყებებთან ერთად და საკანონმდებლო ინიციატივის მომზადებას საკითხის დარეგულირების მიზნით.

### **ქათმის ხორც-პროდუქტების მწარმოებელი ადგილობრივი კომპანიების მომართვა არათანაბარი კონკურენტული გარემოსა და მომხმარებელთა უფლების დარღვევის შესახებ და შპს „კედარის“ მიერ წარმოებული პროდუქტის რეალიზაციისას გამოვლენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი პათოგენური მიკროორგანიზმის არსებობის შესახებ საკითხი.**

2014 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტისა და აგრარულ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებული სხდომაზე გახილულ იქნა ქათმის ხორც-პროდუქტების მწარმოებელი ადგილობრივი კომპანიების მომართვა არათანაბარი კონკურენტული გარემოსა და მომხმარებელთა უფლების დარღვევის შესახებ და შპს „კედარის“ მიერ წარმოებული პროდუქტის რეალიზაციისას გამოვლენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი პათოგენური მიკროორგანიზმის არსებობის შესახებ საკითხი.

ქათმის ხორც-პროდუქტების მწარმოებელი ადგილობრივი კომპანიების მომართვის განხილვის შედეგად კომიტეტს მიაჩნია, რომ სახეზეა ეტიკეტირების წესების უხეში უგულვებელყოფა, რითაც ირღვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. კომიტეტის სხდომაზე ასევე ცალსახად გამოიკვეთა იმპორტირებული ქათმის შენახვის ვადასა და შენახვის წესთან დაკავშირებული პრობლემები, რაც განაპირობებს ნედლი ქათმის ვარგისიანობას.

რაც შეეხება შპს „კედარის“ მიერ წარმოებული პროდუქტის (გაყინული ქაბაბი წარმოებული 04.10.2014 წ. და გაყინული ხინკალი წარმოებული 09.10.2014 წ.) რეალიზაციისას გამოვლენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი პათოგენური

მიკროორგანიზმის არსებობის შესახებ საკითხს, კომიტეტს მიაჩნია, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ განხორციელდა ეფექტური კონტროლი, ვინაიდან უცნობია სრულად არის თუ არა ამოღებული ბაზრიდან მავნე პროდუქტი, რომელიც რეალურ საფრთხეს წარმოადგენს მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

კომიტეტს მიაჩნია, რომ ამ მიმართულებითაც სურსათის ეროვნული სააგენტოსა და ასევე, სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის მხრიდან არ განხორციელდა ეფექტური კვლევა და კონტროლი.

აღნიშნული საკითხების განიხილვის შედეგად კომიტეტმა ეჭვქვეშ დააყენა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ ძირითადი მოთხოვნების შესრულება, რომელთა თანახმადაც, ბაზარზე უნდა განათავსდეს მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტი.

შესაბამისად, კომიტეტმა შეიმუშავა რეკომენდაცია და წარუდგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. კომიტეტის რეკომენდაციით სამინისტროს უმოკლეს ვადებში ზედმიწევნით უნდა შეესწავლა განხილული საკითხები, გაეტარებინა ქმედითი ღონისძიებები და გატარებული ზომების შესახებ წარმოედგინა ინფორმაცია.

#### **4. კომიტეტი ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან**

საანგარიშო პერიოდში კომიტეტი აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე. გაიმართა არაერთი შეხვედრა საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

კომიტეტმა წარმატებული თანამშრომლობა გასწია გერმანიის თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (GIZ), რომლის მხარდაჭერითაც კომიტეტმა გამართა ორდღიანი კომიტეტის სხდომა ყაზბეგის რაიონში, სადაც განიხილა კონკურენციის შესახებ მეორადი კანონმდებლობის პოექტები. აღნიშნული ორგანიზაციის ჩართულობამ უზრუნველყო როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენელი კომიტეტის წევრების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის, აღმასრულებელი ხელისულების წარმომადგენლების აქტიური ჩართულობა საკომიტეტო განხილვაში, რაც ცალსახად წარმატებულ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს.

მნიშვნელოვანია ასევე კომიტეტის თანამშრომლობა გაეროს განვითარების პროგრამასთან - UNDP, რომლის მხარდაჭერითაც კომიტეტმა გამართა შეხვედრა თელავის რაიონის მინიციპალიტეტის და რეგიონში მოღვაწე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. კომიტეტმა თავის მხრივ უზრუნველყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელ პირთა დასწრება აღნიშნულ შეხვედრაზე. შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს საშუალება მიეცა უშუალოდ პარლამენტის წევრებისა და მთავრობის წარმომადგენლების წინაშე დაეყენებინათ მათთვის აქტუალურის საკითხები და ასევე მიეღოთ პასუხების.

აღნიშნული ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარდა ასევე კომიტეტის სხდომა სადაც განხილულ იქნა მნიშვნელოვანი კანონის პროექტები.

შესაძლებლობებათა გაძლიერების მიზნით კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ორგანიზაციასთან Good Governance Initiative (GGI). მათი მხარდაჭერით კომიტეტი მუშაობს სამომავლო სამოქმედო გეგმებზე.